პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

585/2
1980
1–10
61

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (469)

1980 წლის იანვარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 1 (469) იანვარი 1980 წელი

16.565

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

1. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესის შესახებ.
2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ.
4. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

### განყოფილება მეორე

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქუთაისის ლითოპონის ქარხნის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
7. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის დღეგრძელთა ანსამბლ „ნართაასათვის“ საქართველოს სსრ დამსახურებული კოლექტივის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



8. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
9. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. ბერძენიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. ცაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
12. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. პ. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. მუშკუდიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
16. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. ქუთათელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
17. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. შ. ჩილაჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
18. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. გ. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ა. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. თორთლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
22. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. გუდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

24. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ნ. გურაბანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. გ. ლაბარტყავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

26. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ნ. ლაკობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

27. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. ყიფიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

28. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. ჩიქოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ი. ჯიჯეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. გ. დადიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

31. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. დევიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

33. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ა. მამამთავრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

34. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ა. სეფაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაეგზავნოს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სახელმძღვანელოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 10 იანვარი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**2 ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი ნიკოლოზის ძე **ჯიბლაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 17 იანვარი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**3 ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. დავით იოსების ძე **ჩხიკვიშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 17 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 4 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

„დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 18 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სსრ 1938 წლის 10 ივლისის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1938 წ., № 1; 1967 წ., № 3, მუხ. 264; 1973 წ., № 5, მუხ. 77; 1979 წ., № 13, მუხ. 358) შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის სათაურში სიტყვები „სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან“ შეიცვალოს სიტყვებით — „დეპუტატის უფლებამოსილების განხორციელებასთან“.

2. კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„I. დაწესდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის დეპუტატის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ყოველთვიურად 100 მანეთის ოდენობით“.

3. კანონის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიების სხდომების დროს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიების დავალებათა შესასრულებლად“ შეიცვალოს სიტყვებით — „ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიების სხდომების დროს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ანდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიების დავალებათა შესასრულებლად“.

ამ მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „და კომისიების“ შეიცვალოს სიტყვებით — „ან კომისიების“.

4. კანონის მე-4 მუხლში სიტყვები „100 ათასი მანეთის“ შეიცვალოს სიტყვებით — „10 ათასი მანეთის“.

5. რჩევა მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეიტანონ დეპუტატებისათვის დეპუტატის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ ამ ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1980 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 29 იანვარი.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 5 ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისა და რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის**

**გელაშვილს** ნათელა სოლომონის ასულს — ქარხნის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროს ინჟინერს.
**სებუას** სერგი თომას ძეს — ქარხნის თუთიის საამქროს უფროსის მოადგილეს.

**საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის**

**ბურკაძეს** გიორგი მიხეილის ძეს — ქარხნის მექანიკური საამქროს ზეინკალს.
**კაცაძეს** პეტრე ლუარსაბის ძეს — ქარხნის ბარიუმის საამქროს ზეინკალს.
**კორძაძეს** ვასილ სიმონის ძეს — ქარხნის თუთიის საამქროს ცვლის უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 3 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 6 სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის**

**არეშიძეს** თამარ გიორგის ასულს — სსრ კავშირის მშენბანკის თბილისის საქალაქო სამმართველოს უფროს საკრედიტო ინსპექტორს.

**ოქრომჭედლიშვილს** მარიამ სიმონის ასულს — სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის უფროს ეკონომისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 8 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 7 აფხაზური სიმღერისა და ცეკვის დღეგრძელთა ანსამბლ „ნართაასათვის“ საქართველოს სსრ დამსახურებული კოლექტივის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

აფხაზური მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ფოლკლორის განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში დამსახურებისათვის **აფხაზური სიმღერისა და ცეკვის დღეგრძელთა ანსამბლ „ნართაას“** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული კოლექტივის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 8 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

საგზაო მშენებლობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ჩუმათელეთი-ზესტაფონის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება იმ პირთ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის**

**კიკაჩეიშვილს** ტიტე სამსონის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 1 საგზაო სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მმართველს.

**სახიაშვილს** ჰამლეტ კარპეს ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 9 სახიდე სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

**სტეფნაძეს** ივანე სოლომონის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

**ტერიშვილს** ვლადიმერ ლევანის ძეს — „ტბილგიპროავტოდორტრანსის" საგზაო განყოფილების პროექტის მთავარ ინჟინერს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის**

**აბრამიას** რობერტ ვალერიანის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 1 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

**გიგაურს** შოთა გიორგის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს სახიდე სარემონტო-სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟეს.

**დევდარიანს** სერგი ამბროსის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ბულდოზერის მემანქანეს.

**ენუქიძეს** ბუდუ ალექსანდრეს ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მთავარ ინჟინერს.

**თიბილაშვილს** ლევან გიორგის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 12 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ბულდოზერის მემანქანეს.

**თოდაძეს** სიმონ მელიტონის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროს სამუშაოთა მწარმოებელს.

**ილურიძეს** ნუგზარ იაკობის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

**კამკამიძეს** გურამ კირილეს ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელს.

**კორკოტაძეს** ვლადიმერ მაქსიმეს ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ბულდოზერის მემანქანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნებულიშვილს** შოთა დავითის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 12 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროს სამუშაოთა მწარმოებელს.

**სიმსივეს** ზურაბ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 12 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ავტოგრეიდერის მემანქანეს.

**ფანჩვიძეს** ტარიელ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროს სამუშაოთა მწარმოებელს.

**წიკლაურს** შალვა ზინიკოს ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ავტოგრეიდერის მემანქანეს.

**ხაჩიძეს** შოთა მიხეილის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელს.

**საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის:**

**კაპანაძეს** გივი ანდრიას ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარ მექანიკოსს.

**ქარსელაძეს** ნოე ირაკლის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 12 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარ მექანიკოსს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის:**

**ამირხანოვს** გოდერძი ტიგრანის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარ ბუხჰალტერს.

**ბერიას** აპოლონ პოლიკარპეს ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საფინანსო სამმართველოს უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 18 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 9 ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისა და რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მუშაკები:

**ასათიანი** გიორგი გიორგის ძე — ქარხნის სარემონტო-სამშენებლო საამქროს უფროსი.

**ახალაძე** დავით რაჟდენის ძე — ქარხნის უფროსი დისპეტჩერი.

**ბოგუსლავსკაია** სოფიო გრიგოლის ასული — ქარხნის თუთიის საამქროს მუშა.

**გიორგაძე** იზოლდა ვასილის ასული — ქარხნის ემალის საამქროს უფროსი.

**ლანჩავა** კუკური ნოეს ძე — ქარხნის მიკრობარიუმის საამქროს მეაპარატე.

**სირბილაძე** ოთარ სევერიანეს ძე — ქარხნის თუთიის საამქროს უფროსი.

**ქათამაძე** ჯუმბერ ალექსანდრეს ძე — ქარხნის ბარიუმის საამქროს უფროსი ოსტატი.

**ხორავა** დიმიტრი გრიგოლის ძე — ქარხნის უფროსი დისპეტჩერი.

**ჯაიანი** ივანე მელიტონის ძე — ქარხნის სატრანსპორტო საამქროს მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 3 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 10 ამხ. გ. გ. ბერძენიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ამხ. გიორგი გაბრიელის ძე **ბერძენიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 3 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 11 ამხ. ს. ს. ცაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სალიტერატურო მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი სარგის სოლომონის ძე **ცაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 3 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 12 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბუნების დაცვის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**ანანიაშვილი** ფარნაოზ ანანიას ძე — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

**არუთინოვი** სერგი ივანეს ძე — გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის მემორიალური პარკის მებაღე-დეკორატორი.

**ბებია** სერგი მიხეილის ძე — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ოჩამჩირის საცდელი სადგურის უფროსი.

**ბუკია** ნათელა კალისტრატეს ასული — ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხის კოლმეურნეობის აგრონომ-დეკორატორი.

**გიორგაძე** გიორგი პორფილეს ძე — ტრესტ „ჭიათურმანგანუმის" რეკულტივაციის განყოფილების უფროსი.

**კეცხოველი** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი.

**სალუქვაძე** გიორგი ისაკის ძე — მახარაძის რაიონის ბჟუჟების კასკადის უფროსი.

**ტურჩინსკაია** ტატიანა ნიკოლოზის ასული — სოხუმის ბოტანიკური ბაღის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**ჭაბუკიანი** პეტრე ივანეს ძე — პენსიონერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჭანკოშვილი** ზაქარია იოსების ძე — მებაღე-დეკორატორი.
**ხმალაძე** ირაკლი გიორგის ძე — პენსიონერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 8 იანვარი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 13 ამხ. კ. პ. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე, დოცენტი კარლო პლატონის ძე **დოლიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 8 იანვარი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 14 ამხ. ა. ნ. მუშკუდიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობისა და ქართულ-უკრაინული ლიტერატურული კავშირის პროპაგანდისათვის უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტარას შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ამხ. ალექსანდრე ნესტორის ძე **მუშკუდიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 8 იანვარი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 15 ამხ. გ. მ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამეურნეო ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავშირებით საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გაბრიელ მიხეილის ძე **ქართველიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 8 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 16 ამხ. გ. ა. ქუთათელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გურამ ალექსანდრეს ძე **ქუთათელაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 8 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 17 ამხ. რ. შ. ჩილაჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობისა და ქართულ-უკრაინული ლიტერატურული კავშირის პროპაგანდისათვის მთარგმნელი რაულ შალვას ძე **ჩილაჩავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 8 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 18 ამხ. ფ. გ. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიონულ კომიტეტთან არსებული შტატგარეშე პარტიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. ფორე გიორგის ძე **ხუციშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 8 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 19 ამხ. რ. ა. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობაში, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. რუსუდან ალექსანდრეს ასული **ჯაფარიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 8 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 20 ამხ. ს. ს. თორთლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მაღალკვალიფიციურ სპორტსმენ-კალათბურთელთა მოსამზადებლად გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, რომლებიც წარმატებით გამოდიან თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდისა და სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობებში, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ქუთაისის ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლის დირექტორი ამხ. სულიკო სპირიდონის ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თორთლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 9 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 21 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჩუმათელეთი-ზესტაფონის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციაში აქტიური მონაწილეობისათვის და მის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ ის პირნი, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

**ახვლედიანი** თამაზ მიხეილის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

**ახობაძე** აკაკი ვარლამის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 1 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე.

**ბარბაქაძე** ოთარ დიმიტრის ძე — ტრესტ „ტრანსფეთქმრეწვის“ № 78 სამშენებლო სამმართველოს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ოსტატი.

**ბუთხუზი** თენგიზ მიხეილის ძე — „ტბილგიპროავტოდორტრანსის“ გზების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

**გველესიანი** ვიტალი გაბოს ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 12 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მებეტონეთა ბრიგადირი.

**გეორგელიძე** გრიგოლ მელიტონის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს დაგეგმვის, შრომისა და ხელფასის სამმართველოს უფროსი.

**გოგიძე** კობა ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 12 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

**კაკაშვილი** ივანე დავითის ძე — საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

**კვახაძე** ავთანდილ ბიძინას ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კიკნაძე** ოთარ ალექსის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ბულდოზერის მემანქანე.

**კოვინკო** იური ვასილის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ხაზის მექანიკოსი.

**მაჭავარიანი** ზაალ სოლომონის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 9 სახიდე სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარი მექანიკოსი.

**მურღული** ნოდარ ვახტანგის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ბულდოზერის მემანქანე.

**სახვაძე** ზაურ ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხაშურის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი.

**სოზაშვილი** სოლომონ ივანეს ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 9 სახიდე სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მეარმატურე.

**ულუმბეგაშვილი** გურამ ალექსის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ასფალტის დამგები ბრიგადის ბრიგადირი.

**ფორჩხიძე** თორნიკე ვარლამის ძე — ტრესტ „კავშირფეთქმრეწვის“ საქსპეცსამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

**ქათამაძე** ტერენტი არქიპოს ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

**ქობულაძე** რუბენ სევერიანეს ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 12 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მძღოლი.

**შარაშენიძე** თეიმურაზ ლევანის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ზესტაფონის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების დირექტორი.

**ხაჩიძე** გივი ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მემანქანე—ასფალტის დამგები.

**ხაჩიძე** გურამ ივანეს ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მძღოლი.

№ 1
ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხუციშვილი** ტარიელ სტეფანეს ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს სახიდე სარემონტო-სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 22 საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოსაცემად გაწეული მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**ბურჭულაძე** ირსა ირაკლის ასული — მოქმედი კანონმდებლობის კრებულის მოსამზადებელი რედაქციის გამგე.

**ბრელიძე** ლუბა დომენტის ასული — უფროსი რედაქტორი.

**გურგენიძე** ელისო თამაზის ასული — უფროსი რედაქტორი.

**კოხრეიძე** ოლღა დავითის ასული — უფროსი რედაქტორი.

**კუსრაშვილი** ლალი ბორისის ასული — უფროსი რედაქტორი.

**მამულაშვილი** ეთერ ვალერიანის ასული — უფროსი რედაქტორი..

**ნიკურაძე** ლეილა ივანეს ასული — კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსი.

**რევაზიშვილი** ივეტა ივანეს ასული — უფროსი რედაქტორი.

**შუშანაშვილი** ალექსანდრე ამირანის ძე — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

**ჯიქია** საველი მიხეილის ძე — უფროსი რედაქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 23 ამხ. ნ. ი. გუდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვნებათმცოდნე ნინო იოსების ასული **გუდიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 17 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 24 ამხ. შ. ნ. გურაბანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. შოთა ნესტორის ძე **გურაბანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

16.565

თბილისი, 1980 წლის 17 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 25 ამხ. ტ. გ. ლაბარტყავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორი ამხ. ტრისტან გრიგოლის ძე **ლაბარტყავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 17 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 26 ამხ. შ. ნ. ლაკობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აფხაზეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასსრ იუსტიციის მინისტრი ამხ. შამილ ნიკოლოზის ძე **ლაკობა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 27 ამხ. ვ. ვ. ყიფიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვალერიან ვლადიმერის ძე **ყიფიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 28 ამხ. ა. ი. ჩიქოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ ორგანოებსა და წიგნის გამოცემის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორის მოადგილე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემის დარგში ამხ. აკაკი ირაკლის ძე **ჩიქოვანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 17 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 29 ამხ. დ. ი. ჯიჯიეშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილე-ბის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი ამხ. დავით ისიდორეს ძე **ჯიჯიეშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 30 ამხ. ი. გ. დადიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის, და-ბადებისოთხმოც წელთან დაკავშირებით, გადამდგარი პოლკოვნიკი იაკობ გი-ორგის ძე **დადიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-ზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 22 იანვარი.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 31 ამხ. ა. ი. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, გაზეთ „ტრუდის“ საკუთარი კორესპონდენტი ამხ. არჩილ ივანეს ძე **ჯაფარიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 22 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 32 ამხ. ა. ი. დევიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პარტიული აღრიცხვის სექტორის გამგე ამხ. ალექსანდრე ირაკლის ძე **დევიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 30 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 33 ამხ. ზ. ა. მამამთავრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ლაგოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბექარ ალექსანდრეს ძე **მამამთავრიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 30 იანვარი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 34 ამხ. ე. ა. სეფაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. ელიზბარ ადამის ძე **სეფაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 30 იანვარი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის მდგომარეობა. აღინიშნა, რომ მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებებისა ამ საქმეში კვლავ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია.

ყველა სკოლაში გაკვეთილების დაწყებამდე არ ტარდება გამამხნევებელი ვარჯიში, მოსწავლეთა საერთო რიცხვის თითქმის 54 პროცენტი არ არის ჩაბმული სკოლებთან არსებულ ფიზკულტურის წრეებში, ხოლო ფიზიკური მომზადების სექციებში კონტინგენტის მხოლოდ 15 პროცენტია. სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეშიც.

სკოლები ცუდად მარაგდება სპორტული ინვენტარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სპეციალურ სპორტულ სკოლებშიც. აქ სათანადო დონეზე არ დგას მოსწავლე სპორტსმენთა შერჩევა-მომზადების, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე.

ნაკლოვანებებია მოსწავლე ახალგაზრდობის სამედიცინო შემოწმებაშიც.

სათანადოდ არ არის გაშლილი საშეფო ორგანიზაციების მუშაობა — საწარმოები, დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას არ უწევენ სკოლებს.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა მ. ხანანაშვილმა.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ განიხილა მაიაკოვსკისა და ჩხოროწყუს რაიონებში დასახლებული პუნქტების და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კეთილმოწყობის მდგომარეობის საკითხი.

აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით გარკვეულ მუშაობას ატარებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოები. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აგრეთვე ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილი საგზაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიები. სათანადო ყურადღება ექცევა სოფლებისა და დაბების გეგმურ განაშენიანებას, ქუჩების, მოედნების, გზების კეთილმოწყობა-გამწვანებას.

ორივე რაიონის დასახლებული პუნქტები ელექტრიფიცირებულია. აშენდა სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობები ჩხოროწყუს რაიონის სოფლებში: ახუთში, ჭოღაში, მუხურში, ლესიჭინეში, 140 და 90-ადგილიანი ორი საბავშვო ბაგა-ბაღი, საშუალო სკოლა — ქვედა ჩხოროწყუში და სხვ.

ორივე რაიონში სრულდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთების გეგმები, ათვისებულია კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხები. პერიოდულად ეწყობა შაბათობები დასახლებული პუნქტებისა და მათი შემოგარენის გასამწვანებლად და კეთილმოსაწყობად.

მიუხედავად ამისა რაიონების დასახლებული პუნქტების, გზების, ქუჩების კეთილმოწყობის საქმეში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნ. ენდელაძემ.

*

* *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი სიღნაღის და ლანჩხუთის რაიონებში შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების შენახვა-გამოყენების მდგომარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა გ. ნატროშვილმა.

* *
*

განხილულ საკითხებზე კომისიებმა მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

*
* *

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. სირაძე.